საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-289

27/03/2020

ქ. თბილისი

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვების მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ქართული ცემენტი 2020“-ის ცემენტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით შპს „ქართული ცემენტი 2020“-ის მიერ წარმოდგენილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვების მიმდებარე ტერიტორიაზე ცემენტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვების მიმდებარე ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.07.13.022; 81.07.13.325; GPS კოორდინატები: X-500609; Y-4609270). საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 365 მეტრით, ხოლო თბილისის შემოვლითი-საერთაშორისო მნიშვნელობის გზა 165 მეტრით. საპროექტო ტერიტორიის გარშემო ძირითადად განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ტერიტორიიდან ჩრდილო-დასავლეთით განთავსებულია ავტოსადგომი, ხოლო 235 მეტრის დაშორებით ფუნქციონირებს ავტოგასამართი სადგური (შპს „ლაკოილი“).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილია წელიწადში 56160 ტონა ცემენტის წარმოება (7.8 ტ/სთ). საწარმო იმუშავებს დღეში 24 საათი, 300 დღე წელიწადში.

საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილია ოთხი ერთეული ცემენტის სილოსის მოწყობა, თითოეულის მოცულობა შეადგენს 120 ტონას. ასევე გათვალისწინებულია ოფისის და დამხმარე სათავსოების მოწყობა. ტერიტორიაზე განთავსებული იქნება ცემენტის დაფქვისთვის საჭირო ბურთულებიანი წისქვილი და ნედლეულის გადახურული საწყობი. განცხადების მიხედვით, საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარები განთავსდება ღია ცის ქვეშ.

განცხადების მიხედვით, ნედლეული საწარმოს ტერიტორიაზე შემოიზიდება ავტოთვითმცლელებით და მოხდება დასაწყობება დახურულ საწყობში. საწყობიდან ნედლეული (კლინკერი, თაბაშირი და მინერალური დანამატი) გადაიტანება ბეტონის მოედანზე და მოხდება მათი შერევა. კაზმის კომპონენტების გადატანა, დოზირება და შემდეგ ერთმანეთში შერევა გათვალისწინებულია ავტოჩამტვირთველების საშუალებით. კაზმის მიწოდება ხდება მშრალი დაფქვის ბურთულებიანი წისქვილის მიმღებ ბუნკერში.

წისქვილში დაფქვის შემდგომ მიღებული სხვადასხვა მარკის ცემენტი პნევმოტრანსპორტის საშუალებით გადადის ცემენტის სილოსებში.

ასპირაციისა და ცემენტის დანაკარგის თავიდან აცილების მიზნით, წისქვილიდან პნევმოტრანსპორტის საშუალებით ცემენტის გადატვირთვა მოხდება მტვერდამჭერში-სახელოებიან ფილტრებში, საიდანაც ნაწილი ბრუნდება პროდუქციის სახით, მცირე ნაწილი კი მილის საშუალებით გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში.

სილოსებიდან ცემენტი მომხმარებელს მიეწოდება ცემენტმზიდების საშუალებით, ასევე გათვალისწინებულია ერთ-ერთი სილოსის აღჭურვა სპეციალური მოწყობილობით, რაც უზრუნველყოფს ცემენტის ნაწილის დაფასოებას ტომრებში. წარმოებული პროდუქციის შეფუთვა მოხდება 50 კგ-იან ტომრებში.

საწარმოში წარმოებული ცემენტი მიიღება კლინკერის, მინერალური დანამატების და თაბაშირის დაფქვით. აღნიშნული წარმოებისთვის გამოიყენება 30000-51000 ტონა კლინკერი, 2250-3200 ტონა თაბაშირი და 2700-22000 ტონა მინერალური დანამატი.

საწარმოში წყლის გამოყენება მოხდება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით (დაახლოებით 250 $მ^3$/წელ). ტექნოლოგიურ პროცესში წყალი არ გამოიყენება. საწარმოში სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის წყლის შემოტანა გათვალისწინებულია ავტოტრანსპორტით, რომლითაც მოხდება ტერიტორიაზე განთავსებული რეზერვუარის შევსება. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლები ჩაშვებული იქნება ბეტონის ორმოში, საიდანაც გატანილი იქნება სპეციალური საასენიზაციო ტრანსპორტით, ხელშეკრულების საფუძველზე. სკრინინგის განცხადებაში არ არის აღწერილი, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება ნარჩენების უბანი (კონტეინერი). აღნიშნული ნარჩენების გატანა მოხდება დასუფთავების სამსახურის მიერ. განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე სახიფათო და ინერტული ნარჩენები არ წარმოიქმნება. სკრინინგის განცხადებაში არ არის აღწერილი, საწარმოს მოწყობის ეტაპზე წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების წარმოქნის და მათი მართვის საკითხები.

წარმოდგენილ განცხადებაში არ არის ასახული საქმიანობასთან დაკავშირებული შესაძლო ავარიის ანდა კატასტროფის რისკები, ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები და აღნიშნული საწარმოს მსგავსი საქმიანობებისათვის განსაზღვრული უსაფრთხოების ნორმები.

სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული, საიდან რა სიხშირით/სქემით და გზებით მოხდება საწარმოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ნედლეულის შემოტანა/პროდუქციის გატანა და აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის განხილული ზემოქმედების საკითხი, რაც საჭიროებს შესწავლას.

ვინაიდან საწარმოში დაგეგმილია ცემენტის სილოსების მოწყობა და ასევე დამატებითი ნაგებობების (ოფისი, დამხმარე სათავსები, ნედლეულის საწყობი) განთავსება, რაც დაკავშირებულია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა/განთავსებასთან, აღნიშნული საკითხი მოითხოვს დამატებით შესწავლას.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, მოსალოდნელია ხმაურის გავრცელება, როგორც დანადგარების მუშაობისას, ასევე ნედლეულის შემოზიდვა-დასაწყობების დროს. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება. ატმოსფერულ ჰაერში გავრცელებული ძირითადი

მავნე ნივთიერებებია ინერტული მასალების და ცემენტის მტვერი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე საწარმოს მასშტაბის გათვალისწინებით (56160 ტ/წელ), მოსალოდნელია ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საწარმოს სპეციფიკის და საქმიანობის მასშტაბის (56160 ტონა წელიწადში) გათვალისწინებით, მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვების მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ქართული ცემენტი 2020“-ის ცემენტის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ქართული ცემენტი 2020“ ვალდებულია უზრუნველყოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ქართული ცემენტი 2020“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ქართული ცემენტი 2020“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი